სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ პროექტის ავტორისადმი (გელა ლომინეიშვილი) 2016 წელს ბიუჯეტთან მიმართებაში დასმული შეკითხვები

ბიუჯეტი გაიზარდა 900,0 ათასი ლარით. როგორ გადანაწილდა ეს გაზრდილი თანხები და რა მიმართულებით?

- ეს თანხები გადანაწილდა ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის მოსაკრებელში, სხვა არაკლასიფიცირებულ მოსაკრებელში და ფინანსური აქტივების კლებაში.

100,0 ათასი ლარით გაიზარდა ბიუჯეტის სოციალური პაკეტი. რით არის გაზრდილი ეს თანხა ? წითელი ჯვრისთვის გამოყოფილი თანხა 45,0 ათასი ლარი შარშანდელი ბიუჯეტიდან რაც იყო გამოყოფილი, წელს გადავიდა სოციალური სამსახურის ბიუჯეტში? ანუ ამით გაიზარდა სოციალური კუთხით დასახმარებელი ბიუჯეტი?

- შარშანაც ასე იყო, 45,0 ათას ლარს გამგეობა უხდიდა ამ თანხას და გეტყვით, რომ წინა წლის ბიუჯეტშიც იყო წითელი ჯვრის დასაფინანსებელი თანხა 45,0 ათასი ლარი. წელსაცაა ეს თანხა ბიუჯეტში.

რამდენი ლარია გამოყოფილი და რამდენს ვაძლევთ თანხას ავადმყოფებს მედიკამენტების შესაძენად?

- 2015 წელში სოციალური პროგრამების დასაფინანსებელი თანხა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში იყო 28,0 ათასი ლარი, წელს გახდა 35,0 ათასი ლარი. ავადმყოფებისთვის მედიკამენტის შესაძენად გამოიყოფა 200 ლარი, მსგავსად 2015 წლისა.

რას ნიშნავს დივიდენტი 20,0 ათასი ლარი?

- დივიდენტი 20,0 ათასი ლარი არის ის თანხა, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებული შეზღუდული შესაძლებლობის პასუხისმგებლობის ორგანიზაციებიდან უნდა მიიღოს მუნიციპალიტეტმა მოგების სახით.

გაიზარდა თუ არა ბაზრის ბიუჯეტი?

-ბაზარმა ფუნქციონირება დაიწყო ცოტა ხნის წინ, ამდენად, მისი საქმიანობის შედეგები გამოჩნდება 2016 წლის ბიუჯეტში.

კურორტ ბახმაროს დაფინანსებაზე, როგორც გასულ წელს, წელსაც გამოყოფილია 70,0 ათასი ლარი. წინა წლის ბიუჯეტში ვერ ვნახე ჩაშლილი ვარიანტი თუ რა მიმართულებით გაიხარჯა აღნიშნული თანხა და რა გაკეთდა. კომისიის სხდომაზე მოწვეული იქნა ა(ა).ი.პ-ის ხელმძღვანელი. დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი ვერ მივიღე.

- ა(ა).ი.პ ,,კურორტ ბახმაროს" დასაფინანსებლად გამოყოფილი 70,0 ათასი ლარი ძირითადად გათვალისწინებულია კურორტის კეთილმოწყობის ღონისძიებების საწარმოებლად. ვმუშაობთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან კურორტისათვის დამატებითი თანხების გამოყოფაზე.

წარმოდგენილ პოექტში არის ერთი მუხლი: „სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები" , რომელიც საწყის ეტაპზე 10,0 ათასი ლარით დაფინანსდება. მაინტერესებს, რამდენად კანონიერად ვაფინანსებთ ამ პროექტებს, ან რატომ უნდა ფინანსდებოდეს ჩვენს მიერ ეს პროექტები?

-ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებაა ეს და ამით კანონს არ ვარღვევთ. დაფინანსება მოხდება მხოლოდ წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მოსალოდნელია თუ არა მენიუში ცვლილებები და მოძიებულია თუ არა შესაბამისი თანხები?

-ცვლილებები მენიუში აუცილებლად იქნება და დაფინანსების თვალსაზრისითაც პრობლემები არ იქნება.

სოფლის პროგრამებით პროექტების განხილვისას ყოველწლიურად ხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ქუჩის განათების მოსაწყობად, რომლის სამუშაოებსაც ძირითადში ა(ა).ი.პ კომუნალური მომსახურების სამსახური ,,სხივი" აწარმოებს, გარკვეული რაოდენობის თანხების გამოყოფა. მაინტერესებს, სადამდე შეძლებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ამ კუთხით დაფინანსებას?

-ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის პროგრამებით პროექტების განხილვისას მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა შეხვედრისას მოსახლეობას უნდა განუმარტოს, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შეუძლებელი იქნება ყველა ჩიხსა თუ შესახვევში საქუჩო განათების მოწყობა.

ა(ა). ი.პ ,,გალერეის“ შექმნაზე უნდა დაიხარჯოს 35,0 ათასი ლარი. საკმარისია თუ არა ა(ა).ი-ისთვის აღნიშნული თანხა და რა აუცილებლობას წარმოადგენს ამდენ თანხის დახარჯვა ბიუჯეტიდან გალერიისთვის, როცა ვერ მოვიძიეთ საჭირო თანხები იმისთვის, რომ იფუნქციონიროს უპოვართა სახლმა ჩვენს მუნიციპალიტეტში?

-ამ კითხვასთან დაკავშირებით ბატონი გამგებელი გაგცემთ პასუხს.\

საფერშლო პუნქტებში ხელფასი არის 60 ლარი. საკმარისია თუ არა ეს თანხა და ფიქრობთ თუ არა რომ ეს თანხა ძალიან მცირეა მათთვის?

- გეთანხმებით, რომ 60 ლარი მცირეა. ვაპირებთ, ვიმუშაოთ ეტაპობრივად ხელფასების გაცემის საკითხზე.

მედიკამენტების შესაძენად თანხას ვაძლევთ 0-დან 18 წლამდე ასაკის შ.შ.მ. პირებს. მაინტერესებს, რა ფორმით მიიღებენ მედიკამენტის შესაძენ თანხას ისინი?

- 0-დან 18 წლამდე ასაკის შ.შ.მ. პირები დადგენილი წესით მიიღებენ მედიკამენტების შესაძენ თანხას.

როგორ ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების დაფინანსება და იცის თუ არა საკრებულომ ამ პროექტების შესახებ?

-არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად დაფინანსდება. საკრებულოს მიერ იყო მიღებული თანადაფინანსება ამ პროექტების დასაფინანსებლად. შეგეძლოთ, მოგეთხოვათ აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია და მიიღებდით მას.

მარტოხელა მიცვალებულზე და სარიტუალო მომსახურებაზე რა თანხა დაიხარჯა და რამდენი პირი გვყავს ასეთი? სად მიემართება მათი ქონება გარდაცვალების შემდეგ? და თუ მათ გააჩნიათ ქონება, მაშინ რატომ ვაფინანსებთ ასეთ ადამიანებს?

- დღეის მონაცემებით მუნიციპალიტეტში სულ 8 ადამიანია ასეთი სარიტუალო თანხების სოციალური დახმარების გაცემის წესით მიღებული დადგენილების საფუძველზე, ხოლო რაც შეეხება მარტოხელათა ქონებას, მათი განკარგვა მუნიციპალიტეტის პრეროგატივა არ გახლავთ, განმარტა სოციალური სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ დუმბაძემ.

შესაბამის რეგიონალურ სამსახურთან შევათანხმე პროექტი, რომელიც იყო შარშანდელ ბიუჯეტის პროექტში, ეს იყო ლიფტის თემა. ამ საკითხთან დაკავშირებით ვიყავი მივლინებით ბათუმში და თბილისში.ეს თანხა ამოღებული იქნა ბიუჯეტიდან და გადატანილი იქნა ბაზრის მშენებლობაზე და ითქვა, რომ ეს თანხები შემდეგ გამოინახებოდა ბიუჯეტში. რატომ არ მოხდა ამ თანხის დაბრუნება ისევ ბიუჯეტში როგორც იყო შეთანხმებული თავშივე, რომელიც 48,0 ათას ლარად კეთდებოდა?

სოფლებში გვაქვს ბიბლიოთეკები და გვყავს ბიბლიოთეკარები, რომლებსაც ვუხდით ხელფასს, გინახავთ კი რა პირობებში უწევთ მათ მუშაობა ? იგივე პრობლემაა ბუკისციხის ადმინისტრაციულ შენობაშიც, სადაც გამგებლის წარმომადგენელი ზის.

-საბიბლიოთეკო გაერთიანების ადმინისტრაცია უკვე მუშაობს ამ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. რაც შეეხება ბუკისციხის ადმინისტრაციულ შენობას, სამშენებლო სამუშაოები უკვე დასრულებულია.

ვერ მივიღე ა(ა).ი.პ-ების სრული ჩაშლილი ბიუჯეტი, თუ სად რა თანხაა ჩადებული. 2015 წლის ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვაში ჩამოთვლილია ისეთი პროექტები, რომლებიც ამ წელში არ გაკეთებულა, როცა ბიუჯეტთან და თანხასთან გვაქვს საქმე, ის რომ პასუხი-ტექნიკური შეცდომაა, არ გამართლებთ.